საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იუფშარა

იუფშარა, მდინარე გუდაუთის მუნიციპალიტეტში, აფხაზეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მდ. გეგის მარცხ. შენაკადი. გამოედინება რიწის ტბიდან. სიგრძე 11 კმ, აუზის ფართ. 236 კმ². სათავიდან 0,5 კმ-ზე იკარგება გრუნტში და 2 კმ შემდეგ კვლავ გამოდის ზედაპირზე. მიედინება კანიონში. საზრდოობს მიწისქვეშა, წვიმისა და თოვლის წყლებით. წყალდიდობა იცის აპრილ-მაისში, იშვიათად – ზამთარშიც. საშ. ხარჯი სათავეში არის 7,6 მ³ /წმ. წყალი მუდამ სუფთაა.

ი-ის ხეობაში გადის რიწის ტბისკენ მიმავალი გზატკეცილი.

ი. აფხაზავა